

თემის ავტორი: ლიკა ერისთავი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

ესე თემაზე : უკანონო მიგრაცია საქართველოდან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში: მიზეზები და შედეგები.

მიგრაცია არ არის სიახლე, 21-ე საუკუნის მონაპოვარი. ადამიანები ერთი ადგილიდან მეორეში უხსოვარი დროიდან გადაადგილდებოდნენ. მიგრაციის ფორმები, საშუალებები, ხერხები იცვლებოდა და იღებდა განსხვავებულ სახეს. დღეს უკვე ერთი კონტინენტიდან მეორე კონტინეტზე მიგრაციაც კი აღარ წარმოადგენს დიდ დაბრკოლებას, გადაადგილების საშუალებათა მრავალფეროვნების თვარსაზრისით. აქ უკვე სხვა სახის პრობლემები იჩენს თავს.

უკანონო მიგრაცია კი ერთ-ერთი წამყვანი პრობლემათაგანია. რა თქმა უნდა, ის არ არის საკუთრივ 21-ე საუკუნეში აღმოცენებული, თუმცა გამწვავებისა და გართულების თვალსაზრისით არალეგალური მიგრაცია მწვერვალს სწორედ ჩვენს საუკუნეში აღწევს. ზოგადად, მიგრაცია და განსაკუთრებით უკანონო მიგრაცია დამახასიათებელია ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის, რომელთა მოსახლეობის დიდ ნაწილს გეზი ბევრად უფრო დაწინაურებული ქვეყნებისაკენ აქვს აღებული. მიმღებ ქვეყანათა მხრივ კი ევროკავშირი ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს.

სამწუხარო რეალობაა, თუმცა ფაქტია, რომ საქართველოდან უკანონო მიგრანტთა პროცენტული მაჩვენებელი არასახარბიელოა უკვე გასული საუკუნის ბოლო წლებიდან მოყოლებული დღემდე. ამის მიზეზი კი ქვეყნის რთული სოციალურ-ეკონომიკური გარემოა, კერძოდ, სამუშაო ადგილების დეფიციტი, დაბალი ანაზღაურება საარსებო მინიმუმთან შეფარდებით და რაც მთავარია, არასწორი პოლიტიკური მიდგომა და სისტემური გარდაქმნის რეალური სურვილის არ არსებობა ამ პრობლემის აღმოფხვრისათვის.

იმისთვის რომ, პრობლემის არსს ღრმად ჩავევდეთ და შევეძლოთ მისი გადაწყვეტის გზებს მივაკვლიოთ საჭიროა თითოეულ ამ მიზეზზე გავამახვილოთ ყურადღება. რაც შეეხება სამუშაო ადგილების დეფიციტს, საქართველოში მცხოვრები ჩვეულებრივი მოქალაქისათვის ეს პრობლემა საკმაოდ ნაცნობია და მტკივნეულად საგრძნობიც. სამუშაო ადგილების ნაკლებობას სხვადასხვა მიზეზები განაპირობებენ, ესენია: ქართული, ეროვნული წარმოებების არ არსებობა ან უკეთეს შემთხვევაში, მათი სიმცირე, ინვესტიციათა არაადაპტაციული რაოდენობა, ნეპოტიზმი და საკუთრივ, სახელმწიფოებრივ დონეზე არასწორი საკანონმდებლო თუ პრაქტიკული მიდგომები არსებული პრობლემისადმი. ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ თითოეული ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია, თუკი იარსებებს რეალური სურვილი და ამასთანავე პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგმება სათანადო ორგანოების თუ პირების მხრიდან.

დაბალი ანაზღაურებაც ერთ-ერთი განმაპირობებელია ჩვენი ქვეყნიდან უკანონო მიგრაციისა. ელემენტარული ყოფითი საჭიროებისათვის ადამიანს გაცილებით მეტი სჭირდება, ვიდრე

ხელფასი აძლევს მას ამის საშუალებას, რაც თავისთავად ბიძგს აძლევს პრობლემას გამწვავებისთვის. ევროკავშირის ქვეყნებში კი, როგორც მოგვეხსენება, განსხვავებით საქართველოსაგან გაცილებით მაღალი ხელფასებია, იმისთვის, რომ ადამიანმა ოჯახი უზრუნველყოს და შესაბამისად უკეთესი მომავლის გარანტია შეუქმნას. ამ საკითხსაც კომპლექსური გადაწყვეტა სჭირდება და როგორც სოციალურ, ისე საკანონმდებლო დონეზე საჭიროებს რეგულირებას.

ყოველი ზემოთ განხილული მაპროვოცირებელი მიზეზი ყურადსაღებია და მნიშვნელოვანი, თუმცა შეუძლებელია ამ მხრივ სიტუაციის გამოსწორება, თუკი არ იარსებებს რეალური პოლიტიკური ნება, იმისა რომ მინიმუმამდე დავიდეს ქართველ მიგრანტთა რიცხვი, რისთვისაც აუცილებელია, რომ ქვეყანაში შეიქმნას ისეთი გარემო, რომ საზღვარგარეთ უკანონოდ მყოფი ქართველი მოქალაქეები სამშობლოში დაბრუნდნენ და აღარ გაუჩნდეთ არც სურვილი და არც საჭიროება სამუშაოები ევროკავშირის ქვეყნებში ეძებონ. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ პრობლემა მრავალპლანიანია და ამიტომ ის სიღრმისეულ გამოკვლევას, გამომწვევ მიზეზთა გაუმჯობესებას, რეგულირებას და სისტემურ გარდაქმნას მოითხოვს.

ეს რაც შეეხება მიზეზებს, თუმცა არ უნდა უგულებელვყოთ უკანონო მიგრაციით გამოწვეული შესაძლო შედეგები და საფრთხეები, რომლებზეც პასუხისმგებელია, როგორც თვითონ მიგრანტი, ასევე ადამიანები, რომლებიც ამ უკანონო ქმედებას ახორციელებენ და ხელს უწყობენ კანონის დარღვევას. ამ საკითხზე საუბრისას, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ მხოლოდ საზღვრის უკანონო გადაკვეთა არ წარმოადგენს არალეგალურ ქმედებას, არამედ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონოდ ყოფნაც, განურჩევლად იმისა თუ რა გზით შევიდა პიროვნება ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, წარმოადგენს დანაშაულს. მიგრანტი, როდესაც ვიზის ან სხვა ნებართვის საბუთების ვადის გასვლას უგულებელყოფს და განაგრძობს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრებას, მომენტალურად იღებს უკანონო მიგრანტის სტატუსს. აქვე ხაზგასასმელია, ის ფაქტიც, რომ ხშირად საქართველოს მოქალაქეები ტურისტულ ვიზას იყენებენ სხვა ქვეყანაში მუშაობის მიზნით. ეს არალეგალური ქმედებაა. მსგავსი ფაქტი ექვემდებარება ჯარიმებსა და ქვეყნიდან გაძევებას.

უკანონო მიგრაციაზე საუბრისას შეუძლებელია არ ვახსენოთ ტრეფიკინგი, რაც ერთ-ერთი შესაძლო, უმძიმესი შედეგია საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის შემთხვევაში. აქ რამდენიმე ფაქტორი იჩენს თავს. როდესაც ადამიანი საკუთარი თანხმობით არალეგალურად კვეთს ქვეყნის საზღვარს, ხშირ შემთხვევაში, ის საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ ხდება კონკრეტული კრიმინალური დაჯგუფებისა თუ წრის მსხვერპლი. ეს კი განაპირობებს უკანონო მიგრანტების დამოუკიდებლობის, პირადი თავისუფლების შეზღუდვას, საჭირო საბუთების არ არსებობის გამო. კრიმინალური დაჯგუფებები განუსაზღვრელ უფლებებს ფლობენ იმ ადამიანებზე, რომლებმაც უკანონოდ გადაკვეთეს საზღვარი. ეს ერთ-ერთი უმძიმესი განაჩენია, რომელიც შეიძლება ადამიანმა საკუთარ თავს გამოუტანოს, რადგან ასეთ დროს უკანონო მიგრანტს, როგორც ვახსენეთ, ეზღუდება დამოუკიდებლობა. ის იძულებულია იმუშაოს ანაზღაურების გარეშე, მათ სასარგებლოდ ვინც უცხო ქვეყანაში გადაიყვანა ისინი. მათ ეზღუდებათ თავისუფალი გადაადგილებისა და არჩევანის უფლება. ხშირ შემთხვევაში ხდებიან მორალური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლნი. ყოველივე ამის

გათვალისწინებით აუცილებელია, ადამინმა გაიაზროს არსებული, შესაძლო რისკები დაკავშირებული არალეგალურ მიგრაციასთან და გააკეთოს სწორი არჩევანი.

ერთი შეხედვით, პრობლემის მარტივი გადაწყვეტა, კანონის დარღვევა და ამ გზით ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება თუ შედარებით უფრო რთული გზის არჩევა, კანონიერად მოპოვება ვიზისა და გარანტირებული უსაფრთხოება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით?! რა თქმა უნდა, ცდუნება დიდია და ხშირად მარტივი გზის არჩევა ბევრად უფრო ხელგვეწიფება, მაგრამ გაუმართლებელი დანაშაულია შესაძლო საფრთხეების გაუთვალისწინებლობა, რადგან შედეგი შეიძლება გამოუსწორებელი და ფატალურიც კი იყოს. რაც არც ერთი მხარისათვის არ იქნება კარგის მომტანი.

ცალკე გამოყოფასა და განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას საჭიროებს ევროკავშირში არალეგალურად მიგრაციის სირთულეები და საფრთხეები, რომლებიც მწვავედ იჩენენ თავს ყოველი უკანონო მიგრანტის წინაშე. შესაბამისი საბუთების არ ქონის გამო ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში რთულია სამსახურის მოძებნა, საცხოვრებელი ბინის დაქირავება, განათლების მიღება, ჯანდაცვის სერვიზებით სარგებლობა და ბევრი სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭიროების არ არსებობა. დანაშაულის გამოაშკარავების შემთხვევაში კი დიდია ალბათობა იმისა, რომ უკანონო მიგრანტს აეკრძალოს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში შესვლა.

დასასრულს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიზანი ყოველთვის არ ამართლებს საშუალებებს და როდესაც საქმე ეხება კანონის დარღვევას და საკუთარი თავის გამოუსწორებელი საფრთხის წინაშე დაყენებას, თითოეულ ჩვენგანს მოგვეთხოვება, შევხედოთ მკაცრ რეალობას თვალეში და ვიყოთ წინდახედულები გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი განხორციელებისას.